ადამიანის უფლებათა დაცვისა და
სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

N 3004
29.12.16.

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმისა და „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ“ (N388; 28.11.2016) საქართველოს სახელმწიფო ანგარიშების პირველად პროექტებზე

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2016 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმისა და „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ“ (N388; 28.11.2016) საქართველოს სახელმწიფო ანგარიშების პირველად პროექტები.

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2261679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

„ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმის შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ აღსრულების პირველადი ანგარიში“ და „პირველადი ანგარიში ბავშვის უფლებათა კონვენციის ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ფაკულტატური ოქმის აღსრულების თაობაზე“ წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს პირველ ანგარიშს, რომელიც წარდგენილია შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმის საქართველოს მიერ აღსრულების შესახებ წარდგენილი ფაკულტატური ოქმის მე–8–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აგრეთვე, წარმოდგენილი ანგარიშები არის საქართველოს მთავრობის პირველი ანგარიში წარდგენილი ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ მე-12-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მოცემული ანგარიშების მიზანია მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვთა უფლებათა კომიტეტს საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ, ბავშვების დაცვის თაობაზე არ ჩაერთონ შეიარაღებულ კონფლიქტებში, ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიისგან დაცვის კუთხით და ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმის შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ აღსრულების პირველადი ანგარიშში ასახულია ანგარიშის მომზადების პროცესი, რომელშიც ჩართული იყო ყველა რელევანტური სახელმწიფო დაწესებულება, სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები. ანგარიში მიმოიხილავს კონვენციით დადგენილი უფლებების აღსრულების სირთულეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით რომ საქართველოს მთავრობა და ამ რეგიონების კანონიერი უწყებები ვერ ახორციელებენ ტერიტორიის ეფექტურ კონტროლს. ადამიანის უფლებების დარღვევა რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხშირად ხდება მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ჩამონათვალით: გატაცება, ყაჩაღობა, თავდასხმა, სიცოცხლის უფლების შელახვა, წამება და ცუდად მოპყრობა, ეთნიკური ქართველების თვითნებური დაკავება, ეთნიკური ქართველების საკუთრების უფლების სისტემატური და უხეში დარღვევა, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, ეთნიკურად ქართველი ბავშვებისთვის განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შეზღუდვა. საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია კონვენციის მოთხოვნებთან სამხედრო სამსახურის რეგულირების კუთხით რაც მოიცავს: სამხედროს სამსახურის სავალდებულო ასაკს, სავალდებულო

სარეზერვო გაწვევის ასაკს, ასევე სამხედრო სკოლაში კანონით დადგენილია, რომ პირი შეიძლება გახდეს კადეტი (სტუდენტი) მხოლოდ მშობლების თანხმობის საფუძველზე. საგანგებო სიტუაციებისას კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ადგენს სახელმწიფოს სპეციალურ ვალდებულებას დაიცვას 18 წლამდე ბავშვების სიცოცხლე.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლდებლად და ადამიანის უფლებების და მშვიდობის სწავლების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ყოველწლიურად ტარდება გადამზადება ბავშვის უფლებების საკითხებზე, რომელიც მოიცავს ბავშვთა უფლებების კონვენციას და სხვა შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებს. ჰუმანიტარული პრინციპები, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები და მათ შორის ბავშვის უფლებების დაცვა ასევე ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმის (2011-2016) სოციალური მეცნიერებების საგნების ჯგუფში, რომლის მიზანია ინფორმირებული და აქტიური მოქალაქეების აღზრდა, მათ მიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთარი უფლებების და პასუხისმგებლობების გააზრება, კულტურულ მრავალფეროვნება და კანონის უზენაესობა. ანგარიშში ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მოქმედი რეგულაციები, რომელიც უმეტესწილად პასუხობს კონვენციის სულისკვეთებიდან გამომდინარე სტანდარტებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის, მათ შორის დანაშაულის მცდელობის და ზემდგომის ბრძანების/ინსტრუქციის შესრულების საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობს სამუშაო ჯგუფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

ბავშვის განათლების უფლების მიმართულებით მისასალმებელია საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებული საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ.

ბავშვის უფლებათა კომიტეტს საქართველოში არსებული სიტუაციის თაობაზე ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიისგან დაცვის კუთხით და სახელმწიფოს მიერ მა მხრივ გატარებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებით მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების თაობაზე, რომელიც გაატარა საქართველოს მთავრობამ მას შემდეგ რაც შეუერთდა ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატურ ოქმს.

2014 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის. დოკუმენტის მე–13–ე სტრატეგიული მიზანი ეხება ბავშვთა უფლებებს, განსაკუთრებით კი დაცვის და დახმარების არსებული მექანიზმების განმტკიცებას, სოციალური მომსახურების განვითარებას, ბავშვებს შორის სიღარიბის და სიკვდილიანობის შემცირებას და განათლების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას. სტრატეგიის სრულფასოვანი აღსრულებისთვის 2016 წლის 13 ივნისს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ახალი სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისთვის, რომელიც 2014-2015 წლის სამოქმედო გეგმაზე სრულყოფილია და მოიცავს ახალ ვალდებულებებს ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით. ბავშვის უფლებათა კონვენციის აღსრულებაზე პასუხისმგებელია უწყებათაშორისი კომისია. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროში არსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ ინტეგრირებული მონაცემები რომელიც მოიცავს: ინფორმაციას მოძალადის შესახებ; ინფორმაციას ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ; ინფორმაცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მქონე პირების შესახებ; ინფორმაცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლების შესახებ; პოლიციის თანამშრომლობას და თანამშრომლობას ორმხრივი იურიდიული დახმარების ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეებზე.

ანგარიში სრულყოფილად ასახავს საქართველოს სპეციალურ კანონმდებლობას, რომელიც ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას პირზე ან პირთა ჯგუფზე ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის გამო. უმეტესწილად ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171 და 253 მუხლები და ასევე ის მუხლები რუმლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია აღნიშნულ საკითხთან. ბავშვის უფლებათა კონვენციის ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ფაკულტატურ ოქმში ასახული ყველა დანაშაული საქართველოში არის კრიმინალიზებული ეროვნული კანონმდებლობით და ისინი ასევე შესაბამისობაშია სასჯელის ზღვართან, საქართველოდან პირების ექსტრადიცია დაშვებულია იმ დანაშაულისთვის, რაც ზემოთ ხსენებულ ოქმშია დადგენილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა მოსწავლეების, მშობლების და პედაგოგების ცნობიერების ამაღლებას ექსპლუატაციის საფრთხეებზე და მის ტიპებზე იმისათვის რომ მოხდეს ადამიანის ტრეფიკინგის პრევენცია. მშობლებს

ეკისრებათ განსაკუთრებული ფუნქცია ბავშვის მიმართ ძალადობასთან და აგრესიასთან ბრძოლის პროცესში. „მშობლების განათლების და ჩართულობის პროგრამის“ ფარგლებში მუშავდება ელექტრონული სახელმძღვანელო განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ამ სახელმძღვანელოს მიზანია მშობლების ცნობიერების ამაღლება ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ადრეული ქორწინების პრევენციის შესახებ და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახროციელებს რამოდენიმე პროგრამას, რომლის მიზანია მიუსაფარი ბავშვების ჩართვა ფორმალური განათლების სისტემაში. განათლების და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროგრამას „სოციალური ინკლუზია“, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრირება ფორმალური განათლების სისტემაში. პროგრამის ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფი და ბენეფიციარი არიან ბოშა ბავშვები. პროგრამა სთავაზობს ბავშვებს სხვადასხვა სახის დახმარებას.

მსხვერპლი ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს იურიდიული დახმარების სამსახური დაარსების დღიდან ბავშვები ყოველთვის წარმოადგენდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთ მთავარ ბენეფიციარს. კანონით განსაკუთრებით დაცულია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინტერესები. ბავშვი დაზარალებულები სავალდებულო დაცვას ექვემდებარებიან და თუ არასრულწლოვან ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი არჩეული ზოგადი წესით მაშინ მას ენიშნება ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურიდან სახელმწიფოს ხარჯზე. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოს მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და თავშესაფრის მომსახურებას, ხოლო მოწმის და დაზარალებულის კოორდინაციის მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს პროკურატურა.

მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი დამოუკიდებელი და სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი UNODC მოდალური კანონის ბავშვის უფლებების შესახებ და სხვა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონით განსაზღვრულია ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არასრულწლოვნებისთვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამრთალწარმოება არასრულწლოვნებთან მიმართებით, და სასჯელის აღსრულების სპეციალური პროცედურები და სხვა ღონისძიებები; კოდექსი იძლევა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიულ მოდელებს როგორიცაა

მედიაცია და განრიდება, რაც აფართოებს სანქციებს რომელიც მოსამართლემ შეიძლება გამოიყენოს პატიმრობის სანაცვლოდ და პატიმრობა გამოყენებული იყოს მხოლოდ, როგორც სასჯელის უკიდურესი ზომა როგორც ეს გამომდინარეობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან და საერთაშორისო სტანდარტებიდან, როგორიცაა გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც. ცვლილების თანახმად ქორწინების მინიმალურ ასაკად განისაზღვრა 18 წელი, ხოლო პატივსადები მიზეზის არსებობის შემთხვევაში მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე 16 წლის ასაკიდან.

მისასალმებელია საქართველოს მთავრობის მხრიდან ორი ანგარიშის წარდგენა რომელიც სრულყოფილად ასახავს შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, გატარებულ ღონისძიებებსა და ქვეყნის ზოგად პოლიტიკას საკითხთან მიმართებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის კომიტეტის 2008 წლის 23 ივნისის დასკვნაში, რომელიც ეფუძნება საქართველოს მიერ წარდგენილ პერიოდულ მიმოხილვას, გამოყოფილი იყო რამოდენიმე საკითხი რომელიც რეკომენდაციის სახით მიეცა ქვეყანას, მათ შორის კონვენციის აღსრულების მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა, ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნა ბავშვის უფლებების მიმართულებით, აწარმოოს შესაბამისი კონვენციის აღსრულების სტატისტიკა, სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართვა კონვენციის აღსრულების პროცესში, შექმნას მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა, გაატაროს ზომები ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ფიზიკური დასჯის აღმოსაფხვრელად, რატიფიცირება გაუკეთოს შშმ პირთა კონვენციას. ეს იყო იმ რეკომენდაციების მცირე ჩამონათვალი, რომლების საქართველოს მთავრობამ წარმატებით შეასრულა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით, აქვს შემდეგი სახის შენიშვნები:

- **ცნობიერების ამაღლების კამპანიების ეფექტიანობის განსაზღვრა;**
- **საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქეების ტრეფიკინგისაგან დაცვის მექანიზმებზე ყურადღების გამახვილება;**

- ანგარიშებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების საქმიანობის, აგრეთვე მათი გადაწყვეტილებებისა და დამკვიდრებული სტანდარტების ასახვა;
- იმ რეგიონების პრობლემატიკის აღნიშვნა, სადაც მაღალია ბავშვთა შეირაღებულ კონფლიქტებში ჩართვის საფრთხე და შესაბამისი გატარებული ღონისძიებები.

კომიტეტმა აგრეთვე გაიზიარა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის შენიშვნები და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი გაზიარება.

კომიტეტმა ზემოთ აღნიშნულ შენიშვნებზე მითითებით მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმისა და „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ პირველადი ანგარიშების პროექტებს.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი პრიორიტეტულად მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ კვლავ გააგრძელოს მუშაობა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ იმ რეკომენდაციების შესრულებაზე, რომლებიც ასახულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

პატივისცემით,

სოფიო კილაძე
კომიტეტის თავმჯდომარე